

03260 სარგელაბე

ქართული
სამართლის
ისტორიის
ცყაროვაბი

სპილო მთავარების ხამარილი ძეგლები

ოპიზართა სიგველი ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები წყაროა. სიგველი თავისი შინაარსით სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება ორი მონასტრის – ოპიზისა და მიჯნაძორის დავას მამულების შესახებ. რადგანაც საქმე ეხება ორ მონასტერის მორის სადავო საკითხს, ამიტომ სასამართლო პროცესი დიდად მნიშვნელოვანია და საქმეს არჩევს მეფის თავმჯდომარეობით. ძეგლი ქართული სამართლის ისტორიის მრავალ საკითხს არკვევს პირველ ყოვლისა ჩანს, რომ სასამართლო ორ მონასტერის შორის მაზარებლის როლს ასრულებს. ძეგლში წარმოჩენილია სასამართლო პროცესში მხარეების უფლება-მოვალეობანი, მტკიცების საშუალებანი და სხვა; მოცემულია აგრეთვე მეფის დომენის სამართლებრივი რეფიმის დახასიათება; საფურადღებოა, რომ ძეგლში დამოწმებულია სამართლის სპეციალისტების მონაწილეობა სასამართლო პროცესში და სხვა.¹

ეს ძეგლი აღმოაჩინა დ. ფურცელაძემ, რომელმაც გამოსცა მისი რუსული თარგმანი². დ. ფურცელაძის თარგმანი ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებებით, მოყვანილი აქვს მ. ჯანაშვილს თავის შრომაში³.

ეს ძეგლი უფრო ზუსტად თარგმნა დ. ბაქრაძემ⁴.

1. იქ. ხუნგარეთი. ნანკვეთი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაზე. 1965. გვ. 7-30.

2. Церковные гуджары, с. 120-121.

3. Царница Тамара, с. 80-81.

4. Статьи по истории и древности Грузии. Приложение к LV тому запись членов Академии наук № 1. СПБ. 1887 г. с. 20-30.

სათანადო კომენტარიუმით ხიგელი გამოსცა აქ. თავაიშვილმა.
იგივე ხიგელი გამოაქვეყნეს ა. მანიძემ და ი. დოლიძემ¹. ძეგლი
განხილული გვაქვს ხაქართველოს ხახელმწიფოსა და ხამართლის
ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში².

1 ჩიქეთის ხაგელი. ტ. II. 1909, ვგ. 25. ციხის ერთობერთი ნართვა და მას შემდეგ განვითარებული გვაქვს ხაქართველოს ხახელმწიფოსა და ხამართლის
ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში².

ძეგლი, თავისი შინაარსით, გიორგი III-ის მიერ ბოძების სიგველია შიომღვიმის მონასტრისადმი. ამ სიგელით მეფე, პირველ ყოვლისა, უმტკიცებს მონასტერს იმ მამულებს, რომლებიც წინა მეფების მიერ მონასტრისათვის იყო შეწირული; თავის მხრივ, მეფე უბოძებს მონასტერს სოფლებს და განსაზღვრავს მონასტრის მფლობელობის იურიდიულ რეჟიმს.

ცნობილია. რომ გიორგი III ცდილობდა ჩელისუფლების გაძლიერებასა და მსხვილი ფეოდალების აღაგმვას. მაგრამ მსხვილი ფეოდალები იმდენად ძლიერი აღმოჩნდნენ, რომ მეფე ჩმირად იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. იგი ცდილობდა, საერთ და საეკლესიო ფეოდალების მიმხრობის მიზნით მათთვის მამულები ებოძებინა. აღსანიშნავია, როდესაც გიორგი III-მ მსხვილი ფეოდალების ერთერთი მძღავრი აჯანყება ჩააქრო, თბილისში დაბრუნებისას მას ეკლესიის მესვეურნი, ე.ი. საეკლესიო მსხვილი ფეოდალები შეეგებნენ და მოთხოვნები წაუყენეს. მეფე იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო.

შიომღვიმის მონასტერი ერთ-ერთი მსხვილი საფეოდალო იყო და მის მეფის მხარეზე ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გიორგი III უბოძებს შიომღვიმის მონასტერს ფართო შინაარსის იმუნიტეტს. ძუგლში გარკვეულია მონასტრის საკუთრების წარმოშობის საფუძვლები: 1) ნასყიდობა, 2) შეწირულობა, 3) ბოძება. გიორგი III ათავისუფლებს მონასტრის სამფლობელოს თითქმის ყოველგვარი გამოსაღებისაგან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლის ის ადვილი, რომელიც სამპარავომძებნელო დაწესებულებას ეხება. ძეგლიდან ჩანს, რომ გიორგი III-ის დროს საქართველოში ყოფილა ისეთი დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავდა მექობრეებისა და ჭურდების დევნას და მათ გასამართლებას. ასეთი სპეციალური დაწესებულების არსებობა მაჩვენებელია გამწვავებული კლასთა ბრძოლისა. მპარავომძებნელის საქმიანობა მიმართული იყო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი. ასეთი დამხამავენი ფეოდალური წყობილების დროს ძირითადად გლეხები იყვნენ, ხოლო მექობრეები კალაპოტიდან ამოვარდნილი წვრილი აზნაურები. სამპარავომძებნელო დაწესებულება მიზნად ისახავდა სასტიკი ზომების მიღებით დაეთრგუნა გაბატონებული კლასის საკუთრების

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი. მპარავთმძებნელი იძიებდა ასეთ საქმეებს და კიდეც ასამართლებდა დამნაშავეებს. შემდეგში მპარავთმძებნელი შეცვალა მეკობართმძებნელმა (სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელი), ხოლო „დასტურლამალით“ მეკობართმძებნელის მაგიურ ხევისთავი გვევლინება. ამ ძეგლის შესახებ სხვა შრომებშიც გვაქვს საუბარი¹. ძეგლი გამოცემული გვაქვს რუსულ² და ფრანგულ³ ენებზე. ქართულად გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა⁴ და ი. დოლიძემ⁵.

-
1. ქართული ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, „მოამბე“. ტ. II. 1960.
 2. Важный памятник истории грузинского права. 1972. „Мцхета“ №2. 1972.
 3. Un Document important de L' Histoire du Droit georgien: La charte du roi Géorgie III (1170).
 4. საქართველოს ხიდებისა, ტ. III, დამატება, 1926, გვ. 2-6.
 5. ქართული ხამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 20-24.

გიორგი V-ის ძეგლის დაღმა

გიორგი V (1318-1346 წწ.). დიმიტრი თავდადებულის შვილი, ენერგიული და გამჭრიახი მეფე იყო. მან სამართლიანად დაიმსახურა „ბრწყინვალის“ სახელი. გიორგი საგარეო და საშინაო ვითარებაში კარგად ერკვეოდა. მან ალლო აულო საერთო მდგომარეობას და შეძლო მონღოლების ყოვლისშემძლე ვეზირის – ჩობანის დაახლოებული პირი გამხდარიყო. „მივიდა რა ურდოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი“. მიიღო რა მონღოლების მხარდაჭერა, გიორგი V-მ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის გაერთიანებას; მან პირველ ყოვლისა, ალაგმა ოსთა თარეში ქართლში, ბოლო მოულო მთავართა თვითნებობას, მოიწვია ურჩი მთავრები კახეთში ცივის მთაზე და ამოაწყვეტინა ისინი¹. გიორგი მეფემ დასავლეთ საქართველოს შემოერთება 1329 წელს შეძლო. როცა დასავლეთ საქართველოს მეფე მიქელი გარდაიცვალა, გიორგიმ მისი შვილი, პატარა ბაგრატი იბილისში წამოიყვანა და ამით ორმეფობა მოსპო. 1334 წელს მეფემ, როცა მესხეთის მთავარი, გიორგი V-ის ბიძა, გარდაიცვალა, მესხეთიც საქართველოს მეფეს დაუმორჩილა².

ამის შემდეგ გიორგი V-მ ყურადღება მთიულეთზე გადაიტანა. მთიულეთში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გამოსვლებს პქონდა ადგილი, გახშირებული იყო მკვლელობა და

1. თ. ფორდინია. ქრისტიანი და სხვა მასალა... II. 1897. გვ. 1-19

2. შ. მესხია. მეგლი ქრისტიანი. გვ. 305-374.

3. ჭავალის ქრისტიანი. II. ს. კაუნიშვილის რეც. 1959. გვ. 325.

4. იქ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორ. I-XV საუკუნეები. 1941. გვ. 197.

5. იქვე.

სხვა დანაშაული. მეფე გიორგიმ პირადად შემოიარა მთიულეთი. ჩამოიყვანა იქიდან წარმომადგენლები თბილისში, მოიწვია დარბაზი და მთიულეთს შეუდგინა სამართლის წიგნი – „ძეგლის დადება“. რაც 1334-1335 წლებში უნდა მომხდარიყო¹.

მაშასადამე, „ძეგლის დადება“ შედგენილია მთიულეთისათვის, საქართველოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხისათვის. ამის მიზეზი, როგორც ძეგლის შესავალშია ნათქვამი, მთიულეთში დაწყებული არეულობა ყოფილა. „ძეგლის დადება“ ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებისაგან შედგება.

ძეგლი შედგება შესავალისა და 45 მუხლისაგან. მასში ჩამოთვლილია შემდეგი დანაშაული:

- 1) მკვლელობა: ერისთავის (მუხ. 1), გამგებლის (მუხ. 2-5), ხევისბერის, მისი ნათესავის ან განაყოფის (მუხ. 6-10), ჰეროვანის, ციხისთავის, დედ-მამათა და ძმის (მუხ. 11-15-17);
- 2) სამხედრო ვალდებულებისათვის („სალაშქრო საქმე“) თავის არიდება (მუხ. 19-20);
- 3) ცოლის გაშვება და მოტაცება (მუხ. 21-25, 29);
- 4) ციხის დაქცევა (მუხ. 26);
- 5) თავდასხმა (მუხ. 28);
- 6) უარზანგობა (უპატიობა) (მუხ. 30);
- 7) დაჭრა და ასოთ მიღება (მუხ. 31-39);
- 8) ასაბიას მოკვლა ან დაჭრა (მუხ. 40);
- 9) ამიერთ და იმიერთ (ხევის) ერთმანეთთან სამტროდ მიღვომა (მუხ. 42);
- 10) მეკობრობა (მუხ. 43-44);
- 11) ვალი და პროცენტი (მუხ. 45);
- 12) გაყრა (მუხ. 18);
- 13) ბეითალმანი ქონება (მუხ. 27);
- 14) მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა (მუხ. 16).

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართალს ეხება ოთხი მუხლი: 16, 18, 27 და 45. მე-16 მუხლი ეხება მამისა და შვილების ეკონომიურ ურთიერთობას. მე-18 მუხლი გაყრას, 28-ე ბეითალმან ქონებას და 45-ე ვალის საკითხს.

1. ი. დოლიძე. გიორგი მოწყობებულის ხამართადი. 1957. გვ. 15.

სისხლის სამართლის დანაშაულს შეიცავს მუხ: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, სამსედრო ვალდებულების თავიდან აცილებას – მუხ. 19, 20; ცოლის გაშვება და მოტაცებას – მუხ. 21, 22, 23, 24, 25, 29; ციხის დაქცევას – 26; თავდასხმას – მუხ. 29; უპატიობას – მუხ. 31; დაჭრას – მუხ. 32, 33, 34, 35, 36, 37, 28, 38, 40; ასაბიის მოკვლას ან დაჭრას – მუხ. 41; ერთმანეთთან სამტროდ მიღვომას – მუხ. 43; მეკობრობას – მუხ. 43-44; სისხლის სამართლის შინაარსის არის 41 მუხლი.

ძეგლის დადება პატრიკულარული დანიშნულების ძეგლია, ის შედგენილია, როგორც ვთქვით, მხოლოდ მთიულეთისათვის, რომელიც განვითარების მხრივ დიდად ჩამორჩებოდა ბარს. ამის გამო, ძეგლის დადებით, შურისძიება შეზღუდულია, მაგრამ სავსებით აკრძალული არ არის.

ვისაც ცოლი მოსტაცეს, მას უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში მომტაცებელს თვითნებურად უპასუხოს დაწვით, მოტაცებით ან დარბევით (მუხ. 22, 25, 29); ძეგლის მიხედვით, თუ ვინმემ მოპირდაპირე სამჯერ გამოიძახა სასამართლოში და მისგან გამოცხადებაზე უარყოფითი პასუხი მიიღო, გამომწვევს შეუძლია თავს დაესხას მოპასუხეს (მუხ. 28). თუ ვინმეს რამე მოპარეს, დამკარგავს შეუძლია მოითხოვოს თავისი საქონელი უკან, ამის შესახებ დამკარგავი განმგებელთან და ხევისბერთან უნდა მივიდეს; მაგრამ, თუ მომპარავმა საქონელი არ დააბრუნა, მაშინ დამკარგავს შეუძლია ძალა იხმაროს და მას თავზე „დამსხმელი“ არ ეწოდება, ე.ი. ამის უფლება აქვს (მუხ. 54). მაშასადამე, შურისძიება და თვითგასწორება დაშვებულია, თუმცა ის შეზღუდულია, ერთი მხრივ დროით (ერთ წლამდე), მეორე მხრივ ხელისუფლებით, ე.ი. თავდამსხმელი ჯერ განმგებელთან ან ხევისბერთან უნდა გამოცხადდეს. ამის გარდა, თვითგასწორებას პიროვნული ხასიათი აქვს. შურისძიება არ გადადის გვარზე, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო.

სასჯელის სახეებში მოცემულია გაძევება (მუხ. 3, 9) და გაპარსვა (მუხ. 2). ცხადია, სასჯელის ორივე სახე ადათობრივი სამართლიდან მომდინარეობს და მათი ძირი ისევ გვაროვნული წყობილებაა. თემური წყობილებისათვის გაძევება უმაღლესი სასჯელი იყო.

„ძეგლის დადების“ ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია. ეს გასაგებიცა: მთიულეთში მოქმედებდა ადათები და ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების ~~ს~~ ცყისები. კანონმდებული იძულებულია მხედველობაში მიიღოს სისხლის აღების ჩვეულება. იგი ცდილობს,

სადაც კი შესაძლებელია, კაატაროს ვანკითარებული სამართლის საწყისები. გიორგი V-ის დროს და მის წინა პერიოდში იყო სამართლის წიგნები. ამის შესახებ „ძეგლის დადებაში“ თითქოს მითითებულიც არის, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ისეთ სახელმწიფოში, როგორიც გაერთიანებული ფეოდალური საქართველო იყო სამართლის წიგნები არ ყოფილიყო. ცნობილია, რომ საქართველოში არათუ სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ ცალკეული უწყებისათვის საგანგებო იურიდიული აქტებიც იქმნებოდა, მაგალითად, გიორგი III-ის სიგელის მიხედვით, საქართველოში ჩამოყალიბებულია სამპარავომძებნელო დაწესებულება, რომელსაც თავისი შტატი და თავისი დებულებაც გააჩნია¹. ქართული განვითარებული სამართლის საწყისების გავლენა ჩანს „ძეგლის დადებაშიც“. ძეგლის მიხედვით, კვალიფიციურ მკვლელობად ითვლება დედის, მამისა და ძმის მკვლელობა (მუხ. 15, 17). კანონმდებელს მშობლების მკვლელობა მეტად შემზარავ დანაშაულად მიაჩნია, რომელსაც ყოველგვარი სასჯელი ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით, კანონმდებელი იხილავს თანამონაწილეობის საკითხს: თანამონაწილეები ერთნაირად ისჯებიან. შვილები მშობლების მკვლელობისათვის კვალიფიციური დანაშაულისათვის აგებენ პასუხს, მაგრამ შვილების თანამონაწილე გარეშე პირი, წერს კანონმდებელი, არ უნდა აგებდეს პასუხს კვალიფიცირებული დანაშაულისათვის, რამდენადაც მოკლული არ არის მიხედვის მშობელი (მუხ. 15), ამიტომ თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს ჩვეულებრივი მკვლელობისათვის².

ძეგლი ქართულად გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ, მოკლე შესავალით³. შემდეგ ის 1930 წელს დაიბეჭდა⁴. ძეგლი ორჯერ გამოსცა ი.

1. ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სამ. მუს. კანკ. კანკ. „მოამბე“, გ. I, 1960. ცურგულაძე ი. ვაჟიანის памятник истории грузинского права (грамоты Георгия III-го 1170 г. „Мაცნე“) // Сюлтаки сопственности, юрисдикция и судебная система в Грузии, №2, 1972; მილეგვ. Un Document important de L. Histoire du Droit Géorgien La charte du roi George III (1170) „Bedi kartlissa“, XXXIII, 1975.

2. ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952. გვ. 69.

3. ს. კაკაბაძე. ძეგლის დადგება გორეთი ბრძოლის მიერ. 1913.

4. ს. მაკაბაძის. მთავრებოთ. 1930 (მეორე თავი).

დოკუმენტი. ძეგლი რეაციელ ქართველი კამოვიდა 1836 წელს. ამიურ კავკასიაში რეაციელი მმართველობის ხაჭირობისათვის კამოცემული იყო ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული და ამაში შედიოდა გიორგი V-ის „ძეგლის დადებაც“. 1887 წელს მეორედ კამოვიდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რეაციელი თარგმანი, ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ვრცელი კომენტარებით. ამ კრებულში მოცემულია გიორგი V-ის „ძეგლის დადებაც“. ძეგლი გადათარგმნილია ინგლისურად ოლივერ უორდროპის მიერ¹. ფრანგულად კი ი. კარსტის მიერ². ამ ძეგლის მიხედვით კამოკვლევა დაწერა ნ. ურბნიშვილმა (ნ. ხიზანიშვილმა), ხოლო იგი თავიანთ შრომებში ვრცლად განიხილეს ივ. ჯავახიშვილმა³, ივ. სურგულაძემ⁴, ი. დოლიძემ⁵ და სხვ.

აღბუღას სამართლის წიგნი

„აღბუღას სამართლის წიგნი“ ქართული სამართლის ისტორიის რიგი ინსტიტუტების შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია. ძეგლის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეკუთვნის ერთ კანონმდებელს. ძეგლის დასაწყისი – შესავალი თვითონ აღბუღასია, პირველი 65 მუხლი – ბექასი, 65-დან 98-ე მუხლამდე – აღბუღასი,

-
1. ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის ხამართვით. 1957 (ერცელი გამოკვლეული); ქართული სამართლის ძეგლები. I. ვახტანგის სამართლის წიგნის კრებული. ტექსტები გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურიცველი. ი. დოლიძე. 1963. გვ. 401–421. 614–619.
 2. ნ. ახვლევანი. ნ. ლეისინაძე. ვახტანგ მემკერა სამართლის წიგნის პედლეიტის სიტონიდან. „ვანიალა“, 1978, № 1 (ლიტერატურული აღმნიშვილი).
 3. Сборник законов грузинского царя Вахтана VI-го, изд. Френкеля, под ред. д. Бакравадзе. 1887.
 4. Laws of King George V. of Georgia, surnamed „The brilliant“ by Oliver Wardrop (in: Journal of the Royal Asiatic Society, 1914, July, გვ. 607-626).
 5. Joseph Kartse. Code d Aghbouqha tome II. livre seconde 1939.
 6. ნ. ურბნიშვილ. „ძეგლის დადებაც“ მაცე გიორგი ბრწყინვალები (მონოგრაფია). 1890.
 7. ივ. ჩეგახაშვილი. ქართული ხამართვის ისტორია. წ. 1. 1928. გვ. 93–104.
 8. ივ. ხერხვალებე. ხაქართველის ხახლუმისუბისა და ხამართვის ისტორიასთვის. 1952 გვ. 67–70. ცირკულა.
 11. История правозащиты и права Грузии. 1968, с. 65–66.
 9. ი. დოლიძე. კონტაქტი არაერთგვარი ხამართვისა. 1957.

ხელი 100-დან 103 მუხლის ჩათვლით და შეიძლება მეტიც ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. მაშასადამე, ძეგლი რამდენიმე საკანონმდებლო აქტისაგან შედგება. ძირითადი, თავდაპირველი ნაწილი, როგორც ეს 1672 წლის ხელნაწერიდან ჩანს. არის პირველი 98 მუხლი, რომელიც ბეჭასა და აღბუღას ეკუთვნის; ამ 98 მუხლიდან 65 ბეჭასია, ხოლო 33 აღბუღასი, 98-დან დაწყებული მუხლები შემდეგ არის მიმატებული.

დ. ჩუბინაშვილის გამოცემით, ძეგლი 175 მუხლისაგან შედგება და მას აღბუღას სამართლის წიგნი ჰქვია. ვახტანგის სამართლის წიგნის კრებულში ეს სამართლის წიგნი 176 მუხლისაგან შედგება და იქაც ძეგლი აღბუღას სახელწოდებას ატარებს. ი. დოლიძის გამოცემით. ეს სამართალის წიგნი 175 მუხლისაგან შედგება და მას ბეჭა-აღბუღას სამართალი ეწოდება. 1672 წლის ხელნაწერით, რომელიც უძველესია და 98-ე მუხლით მთავრდება, სამართლის წიგნს ეწოდება: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“.

სამართლის წიგნის შესავალში აღბუღა წერს: შევკრიბე საბჭო და პაპაჩემის, მანდატურთუხუცესის ბეჭას სამართლის წიგნი, ანუ „განაჩენი“ დავიდევი წინ და „სრულობით და უკლებლად დავსწერეთ“, ე.ი. ბეჭას სამართალი უკლებლივ გადმოვიწერე და დავამტკიცე სამოქმედოთო; ამასთანავე, იგი წერს, რომ ბეჭას სამართალს დავურთეთ ჩვენი სამართალით: „და რაცა უამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედ დავურთეთ“. რას ნიშნავს ზედ დავურთეთ? თვით ბეჭას სამართალის დაურთო? 66-ე მუხლის წინ, აღბუღა აცხადებს, რომ მან გამოიკვლია, შეისწავლა „სრულისა სამცხისა საქმე“, ცხენის ქურდობა განშირებულიყო, აღბუღამ „საპატიო კაცნი“ მოიწვია და მათთან „ბჭობით“ დაადგინა, რომ ძველი „განაჩენით“ იხელმძღვანელოს და ახალიც დაუმატოს. აღბუღამ დაწერა/ 33 მუხლი. ძველი განაჩენის სახით, ამ შემთხვევაში, აღბუღას ბეჭას სამართლის წიგნი არ უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რადგანაც ბეჭას სამართლის წიგნში მეკობრეებზე არ არის საუბარი. როდესაც, პირველ შესავალში საუბარია „ზედ დართვაზე“, შესაძლებელია ეს დართვა თვით ბეჭას სამართლის წიგნს შეეხებოდეს და აღბუღამ რომელიმე მუხლი დაუმატა კიდეც ან შეიძლება „ზედ დართვა“ ისე კავიგოთ, რომ ბეჭას კანონებს საჯუროა კანონებიც მოუმატა. „სრულობით და უკლებლად“ ბეჭას სამართლის წიგნი რომ აღბუღას არ

გადმოუწერია. ამის შესახებ ის ქვემოთ წერს: ბეჭასდროინდელი ფრელის ერთეული — ყაზანური (მონღლოური) გიორგაულით — გიორგი V-ის სახელით მოჭრილი ფულის ერთეულით შეცვალეო. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აღბუღა საზღაურის რაოდენობაშიც შეიტანდა ცვლილებას და საერთოდ კი „ბეჭას სამართლის წიგნი შენახულია აღბუღა ათაბაგის დროის საკანონმდებლო კრების რედაქციით“.

შეიტანა თუ არა აღბუღამ სხვა რაიმე ცვლილება ბეჭას სამართლადში არ ვიცით, არც ის ვიცით მთლიანად მოიტანა სამართლის წიგნი, თუ შემოკლებით, ან როგორი რედაქცია გაუკეთა მას. გარდა იმისა, რასაც აღბუღა თვითონ გვაწვდის, სხვა ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ბეჭას სამართლის წიგნს ვიცნობთ მხოლოდ აღბუღას შესავლით, მისი და მასთან მოწვეული „საპატიო კაცების“ საბჭოს მიერ რედაქტირებულსა და დამტკიცებულს.

აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ აღბუღას განცხადებით, შას არაფერი შეუცვლია ბეჭას კანონებში, ვნახეთ. რომ ფულის ერთეული სწორედ მან შეცვალა. მეორე, მან გაუკეთა ბეჭას სამართლის წიგნს შესავალი. ალბათ, წიგნს საკუთარი შესავალი ექნებოდა, ან განმარტება სათაურის სახით, რომელიც კანონმდებლის ვინაობას გვამცნობდა. ამას გარდა, აღბუღამ და მისმა საბჭომ საკმარისად არ ცნეს ბეჭას სამართალი და გააგრძელეს, ანუ საკუთარი კანონები დაუმატეს, მაშასადამე, სამართლის წიგნი ერთიანობაში მოიყვანეს, გამართეს, ე.ი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვაქვს ბეჭას სამართლის წიგნი მხოლოდ და მხოლოდ აღბუღას მიერ მისი შეხედულებისამებრ გამართული და ერთიანობაში მოყვანილი. მაშასადამე, იმ სახით, როგორც ჩვენ მას ვიცნობთ, ბეჭას სამართალს საკანონმდებლო ძალა აღბუღამ მისცა და სანამ ბეჭას სამართლის წიგნის ხელნაწერი ცალკე არ აღმოჩნდება, მანამ აღბუღას მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტი აღბუღას სახელს უნდა ატარებდეს.

საჭიროდ მიგვაჩნია, ძეგლის შესწავლისას, გამოვყოთ მისი შემადგენელი ნაწილები. აღბუღას სამართლის წიგნის პირველი ნაწილი 66-ე მუხლამდე ეკუთვნის ბეჭას, მეორე ნაწილი — 99 მუხლამდე აღბუღას. გამოსარკვევია დანარჩენი ნაწილები.

1. ა. ჯავახიშვილი. ქართველი ისტორიული იუსტიცია. 1. 1928. ვე 109.

ბექასა და აღმულას სამართლის წიგნის შედგენის თარიღი დადგინდა ს. კაკაბაძემ¹. ვახუშტის მიხედვით, მანდატუროუხუცესი ბექ ცნობილია 1285-1305 წლებში მოღვაწე მთავრად. ამის შემდეგ მანდატუროუხუცესის ტიტულს სამცხის მთავრები აღარ ატარებდნენ. მაშასადამე, ბექამ სამართალი სწორედ იმ ხანებში შეადგინა. ხოლო, ბექას შვილიშვილი აღმულა მოღვაწეობდა გიორგი V-ის შემდეგ (მან შემოიღო გიორგი V-ის მონეტა), ე. ი. XIV საუკუნის მეორე ნახევარში. ი. დოლიძე აზუსტებს აღმულას მიერ სამართლის წიგნის შედგენის თარიღს. ეს უნდა ყოფილიყო 1381-1386 წლებს შორის.

აღმულას სამართლის წიგნი, რომელშიც შედის ბექას სამართალიც (98-ე მუხლამდე), ადგილობრივი დანიშნულებისაა. იგი მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსათვის არის შედგენილი; ამ სამართლის წიგნით უმაღლესი ხელისუფალია არა მეფე, არამედ ათაბაგი, ხოლო ეკლესიის უმაღლესი იერარქია არა კათალიკოსი, არამედ მაწყვერელი.

აღმულას სამართლის წიგნში მოცემულია ნორმები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. აქ ვხვდებით უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს (მკვლელობა, დაჭრა, მეკობრეობა და სხვა და მათი საზღაური), ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმებით სამართლის წიგნი ეხება საკუთრების უფლებას, ნახყიდობას, გირავნობას, სესხსა და სხვ. წიგნი ეხება აგრეთვე სამოსამართლო სამართლის საკითხებს (ბჭე, შუაკაცი, მტკიცების საშუალებანი და სხვ.). აღმულას სამართლის წიგნი ფეოდალური საჩოგადოების ძეგლია და ის გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესებს იცავს.

1. ს. კაკაბაძე. საქართველოს მეცნიერება და აღმულას კონსა. 1912.

2. ქართული ისტორიულის მეცნიერება. I. ი. ერთიანი რესპუბლიკის დამსაქანიშვილი. 1963. ვ. 617.

დასტურლამალის შედგენის დრო. „დასტურლამალი“

შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ, როცა ის ქართლს განავებდა თავისი ბიძის გიორგი XI მაგიერ, გიორგი XI კი ამ დროს სპარსეთში იყო „სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეტად დადგინებული“. გიორგი XI შეურიგდა ირანს, იქ თანამდებობა მიიღო, ხოლო ქართლში მმისშვილი. მომავალი მეფე ვახტანგ VI განაწესა გამგებლად 1703 წელს, გიორგი XI კი მოჰკლეს სპარსეთში 1709 წელს. მაშასადამე, რადგანაც „დასტურლამალის“ შესავალში გიორგი XI მოხსენებულია, როგორც ირანის მთავარსარდალი, ამიტომ ძეგლი შედგენილია გიორგი XI სიკვდილამდე, ე.ი. 1709 წლამდე. მაგრამ ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება შეიძლება.

ი. ლორთქითანიძის მართებული მოსაზრებით, მეფეს ეკუთვნოდა თრიალეთში სოფლები: უზნარიანი, კარუკულმართი და კარწახი. „დასტურლამალის“ მიხედვით თრიალეთის სახასო სოფლებში მოხსენიებულია კარწახი. უზნარიანი და კარუკულმართი კი 1707 წელს ვახტანგ ბატონიშვილს შეუწირავს ნათლისმცემლის მონასტრისათვის (კარწახი კი 1719 წ. ბაქარ მეფემ შესწირა იმავე მონასტერს). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „დასტურლამალი“ შედგენილია არა უადრეს 1707 წლისა და არა უგვიანეს 1709 წლისა.

„სადედოფლო დასტურლამალის“ დასაწყისშივე აღნიშნულია: „პირველ მეფის გიორგისგან განწესებული და შემდგომად მეფის ვახტანგისაგან დამტკიცებული“, ხოლო პირველი პარაგრაფის სათაურია: „სააღაპოდ მისაცემი მარიამ დედოფლისთვის“. აქედან უნდა დავასკვნათ: „სადედოფლო დასტურლამალი“ შედგენილია პირველად გიორგი XI მიერ¹, მარიამ დედოფლის (დადიანის ასულის, ვახტანგ V მეუღლის, გიორგი XI დედინაცვლის) გარდაცვალების ახლო ხანებში, ე.ი. 1683-84 წლებში, არა უგვიანეს 1688 წლისა, რადგანაც 1688 წელს გიორგი XI ნაცვლად ერეკლე I არის ქართლის მეფე.

1. ი. ლორთქისანძე, ქაქონ ქართლი, I და II 1935, გვ. 11.

ვიორგი XI „სადედოფლო დასტურლამალი“ ვახტანგ ბატონიშვილს „განახლებით“ დაუმტკიცებია. შეიტანა თუ არა რაიმე ცვლილება ვახტანგმა მასში, არ ჩანს.

დასტურლამალის შედგენილობა. ვახტანგ VI „დასტურლამალი“ ერთგვარი კრებულია, რომელიც შედგენილია სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისაგან. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მასში შევიდა გიორგი XI მიერ შედგენილი „დასტურლამალი“. ამასთანავე, ძეგლში ვხვდებით ვახტანგ VI მამის ლევან მეფის მიერ შედგენილ მდივანბეგობის გარიგებასა და ბოქაულოთუხუცესის სარგოს.

ამავე დროს მურდორის დებულება გამოცემული იყო როსტომ მეფის მიერ 1638 წელს. 1703-1724 წლებში შედგენილი ყოფილა აგრეთვე მურდორის განაწესი¹. ეს დებულებანი ცოტაოდენი ცვლილებებით შეტანილია „დასტურლამალში“.

„დასტურლამალში“ აღნიშნულია, რომ ყაიყულის შესახებ გარიგება შედგენილია გიორგი XI, ხოლო ყარაის კონის განაწესი როსტომ მეფის მიერ.

როდესაც ვახტანგი „დასტურლამალს“ ადგენდა, მან შეკრიბა წინათ შედგენილი დებულებანი, დაუმატა ახალი და ყველაფერი ეს ჩამოყალიბდა ერთ საკანონმდებლო აქტში – „დასტურლამალში“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მდივანბეგობის გარიგება, რომელიც 1704 წლით არის დათარიღებული, „დასტურლამალის“ შედგენის დროს მნელად საშოვნელი ყოფილა.

ამის დამადასტურებელია, ამ გარიგების ანუ სიგელის ერთ-ერთ ასლზე შემდეგი მინაწერი: „ქ. თქვენის თავის მზემა და ღ-მან იცის დიდათ გულს მოდგინეთ ვეცადეთ, რომ ის წიგნი მეშონა და მომერთმია, მაგრამ ვერ ვნახე ახლა მდივანბეგობის წესი და რიგი არც ერთი იოტა არა დარჩომილა რა ისე თამბათ დავსწერეთ და ეს გვიახლებია. ამიტომ დაგვიგვიანდა ამდენს ხანს თქვენი უხლებლობა“.

სიგელი, როგორც ვთქვით, 1704 წელს არის შედგენილი, მაგრამ ამ სიგელის ასლი და ეს მინაწერი, რომელიც მოვიყვანთ, არ არის

1. „სადედოფლო დასტურლამალის“ შედგენის შესახებ იხილეთ „თოანე ბაგრატიონი, სჯ-ცდება“, 1957, გვ. 026-028.

2. „საქართველოს სიძველები“, ქ. თაყაიშვილი, დაქვრუვით. ტ. გვ. 241-244.

3. საქართველოს მეცნ. აკად. პ. მამილაძის სახელობის ჩელნაშერია ინსტიტუტი, ჩ. 13053.

დათარიღუბული. იგი დაწერილია XVIII ს. პირველი ნახევრის ქაღალდზე და გადაწერილი უნდა იყოს „დასტურლამალის“ შედგენასთან დაკავშირებით ბატონიშვილის დავალებით, რადგანაც ძეგლის შემდეგ ეს სიგელი უკვე შეტანილი იყო „დასტურლამალში“.

მაშასადამე, „დასტურლამალი“ იმ სახით, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ, შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ 1707-1709 წლებში. მაგრამ, ამ ძეგლის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს. სხვადასხვა მეფის მიერ არის შედგენილი, ხოლო ვახტანგმა გააერთიანა ისინი. ამ მხრივ „დასტურლამალი“ კრებულია.

ცნობილია ის გარემოება, რომ მეფეები ამა თუ იმ პირის სახელოებით დაჯილდოების შემთხვევაში, დაჯილდოებულს აძლევდნენ სიგელს, რომელშიც განსაზღვრული იყო სახელოს ფუნქციებიც. სახელო კი, როგორც ცნობილია, მემკვიდრეობით გადადიოდა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ საბუთები, განსაკუთრებით კი ისეთი, რომელიც სახელოებისა და გადასახადების გარიგებას შეეხებოდა, სახელმწიფო საცავში ინახებოდა. ამის ნიშნები „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“ მოიპოვება (§ 14). თვით საბუთებიდანაც მოსჩანს არაპირდაპირი მითითება საბუთების შესანახი ადგილის შესახებ. მეფეები ხშირად წერენ „მოკითხული ვქენით“-ო¹. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სათანადო საბუთებს საცავებში ნახულობდნენ საჭიროების შემთხვევაში. „დასტურლამალის“ მიხედვით სისტემატურად ხდებოდა სამეფოს აღწერა. რასაკვირველია, აღწერის შედეგი სათანადოდაც ინახებოდა სახელმწიფოს საცავსა თუ სალაროში. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ამასთანავე სიგელი ექნებოდა დაინტერესებულ პირს, სახელოს ანუ მამულის თუ სხვა რაიმეს პატრონს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეულ აქტს, სახელოს დებულებასა თუ სარგოს „დასტურლამალი“ ანუ „დასტურლამა“ ეწოდებოდა. თვით ვახტანგის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“, სახელდობრ, ზარაფხანის გარიგებაში სწერია: „ამისი ვეჯუბი დასტურლამა“, „ვეჯუბი დასტურლამა“ ნიშნავს განაწესს, ანუ სარგოს, ან გარიგებას ოქროს ან ვერცხლის გამონადნობის იმ ნაწილისა, რომელსაც გადასახდელის სახით იღებდნენ მეფის სასარგებლოდ. ამგვარადვე,

1. ივ. ჯავახიშვილი. ქრონიკი სიგელთა-მცოდნეობა. ანუ დიპლომატია, 1926. ვ. 80-81.

შეიძლებოდა ყოფილიყო მდივანბეგის დასტურლამალი, დიღომის გადასახდელთა დასტურლამალი და ასე შემდეგ.

მაშასადამე, „დასტურლამალი“ ეწოდება ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შედგენილ კანონთა კრებულს. და აგრეთვე ამ კრებულში შემავალ ცალკეულ აქტებს.

ჩვენ დავასახელეთ კიდეც ვახტანგის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“ შესული ზოგიერთი გარიგება, რომელიც ცალკე აქტად ინახებოდა. მაგრამ „დასტურლამალში“ შემავალი მუხლების უმრავლესობას არ ვიცნობთ ცალკეული აქტების სახით. შეიძლება ზოგი მათგანი ცალკეც არსებობდა, მაგრამ ამჟამად ჩვენ არ ვიცნობთ ასეთ წყაროს. შესაძლებელია მრავალი მათგანი ადათობრივი სამართლის ნორმის სახით არსებობდა და ვახტანგის მიერ პირველად იქნა შეტანილი თავის „დასტურლამალში“. საფიქრებელია, რომ გლეხთა გადასახდელები, ზოგიერთ სოფლებში ადათობრივი სამართლის სახით არსებობდა და ვახტანგმა მისცა წერილობითი ფორმა „დასტურლამალში“ შეტანით.

სახელოებისა თუ მამულების მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევაში, სახელოსა თუ მამულების მფლობელი ახალ მეფეს უდგენდა სიგელს ხელახლად დასამტკიცებლად. ამასთანავე, სიგელში, დროთა განმავლობაში, შეჰქონდათ ესა თუ ის ცვლილება.

ზოგჯერ მეფეები სცვლიდნენ გლეხთა გადასახადებს, უმატებდნენ ან აკლებდნენ მას, იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათი ჰქონდა კლასთა ბრძოლას. მაგალითად, ცნობილია ის გარემოება, ვახტანგბაქარის დროს ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებას რამდენიმე სოფელში, რის შედეგად მეფის ხელისუფლება იძულებული შეიქნა გადასახადების ერთიანი და ახალი განაწილება შემოეღო.

იმ შემთხვევაშიც, როცა მეფე ან ფეოდალი ეკლესია-მონასტრებს მამულებს სწირავდა, შეწირულების სიგელში მოცემული იყო აგრეთვე საგადასახადო დებულებანიც.

ვახტანგმა შეკრიბა ასეთი აქტები, სახელმწიფო არქივსა თუ კერძო პირებისაგან, თავი მოუყარა ადათობრივ სამართლის ნორმებს, მოიყვანა ისინი სისტემაში და მისცა მათ ერთიანი საკანონმდებლო აქტის ფორმა, რის შემდეგ მივიღეთ „დასტურლამალი“.

ვალერიან მეტრევალი

ქართული სამართლის
ისტორია

საქართველოს მთავრობის
ისტორიული დოკუმენტები

ხელმწიფის კარის გარიგება

ხელმწიფის კარის გარიგება ფაქტობრივად სამეფო კარის წესდებულებაა, იგი უნიკალური, იშვიათი ხასიათის სამართლებრივი ძეგლია, მას ზოგჯერ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასაც კი უწოდებენ. ეს ძეგლი ცნობებს გვაწვდის, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ. ძეგლის მიხედვით სახელმწიფოს განაგებს მეფე, რომელიც აღჭურვილია ფართო უფლებებით. მეფე ხელმძღვანელობს ისეთ სახელმწიფო ორგანოებს, როგორიცაა დარბაზი. დარბაზი — ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ანუ „პარლამენტია“. იგი მოიწვევა ორი წესით „მცირე წესით“ და „დიდი წესით“. დარბაზობა „მცირე წესით“ დარბაზის ანუ პარლამენტის საქმიანი, საიდუმლო სხდომა იყო, მას მხოლოდ დარბაზის წევრები ესწრებოდნენ, ხოლო „დიდი წესით“ დარბაზობა — დარბაზის ღია სხდომა იყო და მას დარბაზის წევრთა გარდა ესწრებოდნენ ასევე სხვა, გარეშე პირებიც. ასეთი სხდომა ტარდებოდა მეფედ კურთხევის დროს, გამარჯვებული ლაშქრის დაბრუნებისა და დღესასწაულების დროს. დარბაზის სხდომას მეფე წარმართავდა. მასში შედიოდნენ მეფესთან დაახლოებული პირები, უმაღლესი რანგის საერო და სასულიერო პირები.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია ცნობები სავაზიროს ანუ მმართველობის უმაღლესი ორგანოს შესახებ. სავაზირო მეფის დასაყრდენი ორგანო იყო და ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, მმართველობის ცენტრალიზაციას. როცა ვაზირობას მეფე ესწრებოდა, მაშინ სხდომა მას მიჰყავდა. ჩვეულებრივად კი სავაზიროს ხელმძღვანელობდა ვაზირთუპირველესი — მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი. სავაზიროში ვაზირები ასეთი თანმიმდევრობითა და პატივით იყვნენ წარმოდგენილი:

1. მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი („ვითა მამა არს მეფისა“) — ვაზირთუპირველესი;
2. ათაბაგი — მეფის შვილის აღმზრდელი — მსხვილი ფეოდალი;
3. ამირსპასალარი — სამხედრო საქმის მეთაური, სამხედრო მინისტრი;
4. მანდატურთუხუცესი — ანუ ვაზირობისა და დარბაზობის დროს წესრიგისა და ცერემონიების წესის დამცველი;
5. მეჭურჭლეთუხუცესი — ანუ ფინანსთა მინისტრი;

6. მსახურთუხუცესი – სამეფო კარზე სამეურნეო უწყების ხელ-მძღვანელი.

7. სავაზირო სხდომას ესწრებოდნენ სხვა მოხელეებიც: ამილაზ-ორი, ამირეჯიბი.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ წარმოდგენილია ასევე უმაღ-ლესი სასამართლო დაწესებულება ანუ „სააჯო კარი“, საუბარია ადგილობრივ მმართველობაზე. ერთი სიტყვით, ეს ძეგლი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფო წყობილების შესასწავლად. იგი შედგენილი უნდა იყოს XIV საუკუნეში. ეს ძეგლი შემთხვევით აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა.

დასტურლამალი

„დასტურლამალი“ ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სა-მართლის ძეგლია. იგი მეფე ვახტანგ VI-მ შეადგინა 1707-1709 წლებში. ტერმინი „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბულია, „დასტურ-ალ-ამალ“ მოქმედების წესს, დასტურს ნიშნავს. ძეგლი შედგება ორი ნაწილისაგან: სადედოფლო და სამეფო დასტურლამალებისაგან. სა-მეფო „დასტურლამალი“ საკმაოდ სრული საკანონმდებლო ძეგლია, რომელიც 222 მუხლისაგან შედგება, ხოლო დედოფლის „დასტურ-ლამალი“ 22 მუხლს მოიცავს.

ძეგლი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ქართლის სახელმწიფო წყობილების შესახებ. მასში აღწერილია სასახლეში მეფის მოქ-მედების, მისი მომსახურებისა თუ დასვენებისათვის მოხელეთა საქ-მიანობის წესები.

„დასტურლამალში“ აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადი-მობის წესები. სასახლის მთავარი განმკარგულებელი იყო სახლთუ-ხუცესი, თავისი მოხელეებით. ძეგლში დახასიათებულნი არიან მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეები, მათ შორის სამეურნეო, საპოლიციო, სასამართლო, სამონადირეო, სამეჯინიბო, მეფის დაცვის და სხვ.

„დასტურლამალში“ მოცემულია ასევე ქალაქის (ადგილობრივი) მმართველობის მოხელეთა უფლებამოსილება (მოურავი, მელიქი, მა-მასახლისი). დიდი ადგილი ეთმობა საგადასახადო სისტემის საკითხებსაც. „დასტურლამალი“ მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული სახელმწიფო და ეკონომიკური წყობის შესასწავლად.